ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ... ოუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივი ასოებით ორჯერ ნაბეჭდი ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივი ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

# ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურგი 15, მარტს.** პეტერბურგის გაზეთი „გეროლდი“ გვაცნობებს, რომ დღეს შუა მესჩანის ქუჩაზე იპოვნეს საიდუმლო სტამბა, 16 კაცი დაატუსაღეს.

**პეტერბურგი, 15 მარტს.** „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია: გაზეთებს „რუსის კურიერსა“ და „რუსის პრავდას“ გამოეცხადა პირველი „გაფრთხილება“ მთავრობისაგან.

დღეს გამოვიდა პირველი ნომერი ციტოვიჩის ოფიციოზულ გაზეთისა „ბერეგისა“ (ნაპირი).

**პეტერბურგი, 13 მარტს.** ჩერნოგორია ხელს აიღებს ოსმალეთისაგან ფულით დაჯილდოებაზედ, თუ ოსმალოს მთავრობა დათანხმდება იმ წინა დადებაზედ, რომელიც იმან წარუდგინა.

## ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყობილიყო.

ტფილისი, 17 მარტს.

ამ ერთის კვირის წინად ბატონ გუბერნატორის თაოსნობით მოწვეული ყოფილა ტფილისში კამმისია შემდგარი მარშლებთაგან, ზოგიერთ გამოჩენილთ მებატონეთაგან, საგლეხო სასამართლოს წევრთაგან და მირაჟული პასრედნიკებთაგან. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ კამმისიას ხიზნების საქმეზედ ჰქონია სჯა და ლაპარაკი და არ ვიცით კი რაზედ დამდგარან და რა დასკვნა დაუდვიათ. მგონია, ჯერ-ხანად მარტო ლაპარაკით გათავებულა საქმე. შემდეგ წავიკითხეთ გაზეთებში, რომ გორის მარშალი იწვევს გორის თავად-აზნაურობას და აუწყებს, რომ სხვათა შორის ხიზნების საქმის თაობაზედ უნდა მოვილაპარაკოთო. ყმების განთავისუფლების შემდეგ კანონმდებლობის ჯერი სწორედ ხიზნების საქმეზედ უნდა მიმდგარიყო. ხიზნობაც ერთ-გვარი მფლობელობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფალის გლეხისა მიწის მეპატრონესთან. რასაკვირველია, ქვეყნის სიკეთისათვის საჭიროა, რომ ეგ დამოკიდებულება შეეფერებოდეს ეხლანდელს მოთხოვნილებას და მაინცა და მაინც განსაზღვრული იყოს და კანონის მფარველობის ქვეშ დამდგარი.

ჰსჩანს მთავრობა შეჰსდგომია ხიზნების საქმეს ამ განზრახვით, მოუნდებია მისი დაყენება მტკიცე საფუძველზედ. თუ ეს ასრეა, ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, მაგრამ ერთი რამ კი ძალიან გვაწუხებს. ჩვენ გვეიგონეთ მათგან, რომელნიც ამ საქმის გადაწყვეტისათვის მოწვეულ არიან, რომ ამ საგანზედ არც თურმე ჯეროვანი და სარწმუნო სტატისტიკური ცნობებია მოკრეფილი და არც თვითონ ხიზნობის არსებითი ვითარებაა გამოკვლეული და ცნობაში მოყვანილი. აქამდინ არ იციან თურმე რა არის ხიზნობა, რა საკანონო და საეკონომიო თვისება აქვს.

ჩვენ არ გვესმის საიდამ რას უნდა გახდნენ, ფეხი რაზედ უნდა მიაკიდონ ვისაც ამ საქმეში ერთის ბიჯის მაინც წინ გადადგმა უნდა. ხიზნობა, როგორც ერთ-გვარი მფლობელობა მიწისა, დღევანდელი საქმე არ არის. ამას თავისი ისტორია აქვს, თავისი წარსული დრო, რომლის განმავალობაში უსაქმია, უმოქმედნია მთელის ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას, ავ-კარგიანობას, სამართლიანობას, ჩვეულებას და, ევრედ წოდებულს, ჩვეულების რჯულსა. ყოველს ამას ერთად უწარმოვენია დიდის ხნის მიმავლობაში და ერის გონებაში გამოუკვანძავს მრთელი აზრი იმ ეკონომიურის წყობისა, რომელსაც დღეს ჩვენ ხიზნობას ვეძახით და რომელსაც სარჩულად იგი აზრი უდევს. ნუ თუ საქმის გადასაწყვეტად მაგ აზრის ცნობაში მოყვანა საჭირო არ არის! უმაგისოდ, ჩვენის ფიქრით, ყოველივე ბიჯი ბრმა კაცის ფეხების ფაცურს ეგვანება.

ან კიდევ, ნუ თუ საჭირო არ არის, მინამ საქმეს წინსდაუხედავად ხელს მოვკიდებდეთ, შევიტყოთ რამდენი ხიზანია, რამდენი მებატონეა ხიზნისა, ორთა-შუა რიცხვით რამდენი მიწა უჭერია თვითო მოსახლე ხიზანსა, სად რა გარდასახადს იხდის ხიზანი, სად რამოდენა მიწაა სამყოფი, რომ ერთმა მეკომურმა თავის სახლობით თავი ირჩინოს და სხვა ამ გვარი.

შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ მარტო იმას მივხედოთ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში ხიზნის რიცხვის მეტ-ნაკლებობას. ამ მეტ-ნაკლებობაზედ არის დამოკიდებული,—რა თვალით უნდა უყუროს კანონ-მდებელმა ხიზნების საქმეს: საზოგადო, საქვეყნო საჭიროების თვალით, თუ კერძო პირთა საჭიროებისა. პირველ შემთხვევაში, თუნდ რომ სხვერპლი იყოს საჭირო, არა უშავს რა. სხვერპლი, ქვეყნის სახელით მოთხოვნილი, შესაწყნარებელია და სამართლიანი. მეორე შემთხვევაში კი ყოველივე სხვერპლი უმართლოა და შეუწყნარებელი.

თუ ხიზნები აქა-იქ კანტი-კუნტად არიან, მაშინ სულ სხვა ფიქრი უნდა,

# ფელეტონი

—

## სილატაკის ისტორიული მიმოხილვა

(გადმოღებული)

(„Histoire De la Misère“-par Jule Jérmina)

(დასასრული *)

ომიანობას ყოველთვის თან მოყვებოდა უწყალო მუსრვა. მძლეველი ქლეტდა განუკითხავად დამარცხებულ ხალხს და თვითონ პატრონდებოდა იმის სახლ-კარობას და ქონებას. რაც მეტს ალაფს (საშოვარს) შეაგროვებდა მხედარი, მით უმეტესი დიდებით და პატივით მიეგებებოდნენ, როცა შინ მობრუნდებოდა.

თესალიელები და დორიელები დაიპყრობდნენ თუ არა ხალხს, იმ წამს ვე გაიხდიდნენ ყმებათ და ამ ნაირად აარსებდნენ ბატონ-ყმობას. შემდეგ ამისა წინადადებას აძლევდნენ დამარცხებულებს: ანუ სამშობლოს მოშორება ანუ მონება.

ამისგამო შევიწროებული და დამონებულები მიდიოდნენ თავიანთი სამშობლოიდგან; მოგზაურობის დროს ითმენდნენ დიდს გაჭირვებას, სილატაკეს და შეხვდებოდათ თუ არა მათზედ უსუსტესნი ტომნი, იმათზედ იყრიდნენ თავიანთ ჯავრს, თუმცა ეს უკანასკნელნი არაფერში იყვნენ დამნაშავენი.

„თესალიელნი, სწერს დიონისი ჰალიკარნაშელი, დამონებულებს ეპყრობოდნენ აუტანელის მტარვალობით და სიამაყით: ძალას ატანდნენ აესრულებინათ ისეთი მოვალეობანი, რომელნიც არ შეესაბამებოდნენ თავისუფალ კაცის მდგომარეობას; ასახიუქრებდნენ დამონებულებს ჯოხის ცემით ყოველივე ურჩობისათვის და ყოველ შემთხვევაში ეპყრობოდნენ ისე, როგორც ფულით ნაყიდ მონებს“.

საცოდავებს ორი გზაღა დარჩენოდათ: ან არეულობის მოხდენა ან გაპარვა სამშობლოდგან. მაგრამ ამ უკანასკნელ საშვალებას, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ყოველთვის თან მოსდევდა მომაკვდინებელი სილატაკე.

„სპარტაში, ამბობს ისოკრატი, დიდებულნი არ კმაყოფილდებოდნენ ხალხის ღირსების და პატივის ჩამოხდით, იმათ ჩაიგდეს ხელში საუკეთესო მიწების უმეტესი ნაწილი; მუშა ხალხისათვის დასტოვეს ძლიერ ცოტა და ისეც უნაყოფო მიწა, რომელიც გულს-მოდგინე მუშაობით ძლივსღა აძლევდა მუშა ხალხს სანახევროდ ღატაკულ საცხოვრებელ საზრდოს.

არც ათინაში იყო ხალხი უკეთესს მდგომარეობაში.

„მთელი ხალხი, სწერს პლუტარხი, დიდებულთა ვალში იყო ჩავარდნილი; ზოგი იჯარით იღებდა მდიდრების მიწას სამეექვსედოთ; ზოგი კი თავის-თავს აძლევდა გირაოთ მდიდრებს და ამ ნაირად მოვახშეთა მონებად ხდებოდნენ; ხან ამ ნაირად მიყიდულებს, უცხოეთში ტყვედ გზავნიდნენ; ბევრი მონები ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს ან კიდევ გაიპარებოდნენ სამშობლოდამ მით თვის, რომ თავიდან აეშორებინათ გაუკითხავ მოვახშეთა მკაცრი მოქცევა“.

კანონი ვერაფერ საშვალების მიღებას ვერ ბედვიდა, რომ დაეცვა კაცობრივი პიროვნობა უსინდისოდ მომქმედ მოვახშეებთაგან.

საბერძნეთის ბრძნებმა, ლიკურგებმა, სოლონებმა ერთი ხმაც არ ამოიღეს კაცობრიობის პიროვნობის შემდგინებელთ წინაამდეგ. ფილოსოფოსნი სოკრატი, პლატონი და არისტოტელი იყვნენ წოდებათა გარჩევის პირველნი მქადაგებელნი, თაკილობდნენ შრომას და შეურაცხყოფად მიაჩნდათ სილარიბე.

მაგრამ ყოველივე გადაჭარბებულ მოქმედებას თან მოსდევს წინააღმდეგობაც. ამ ნაირად გამოწვეულ წინააღმდეგობამ ამოჰყო თავი ეხლა, როდესაც მეტის-მეტი შეურაცხყოფა მიაყენეს დამონებულ მუშა ხალხს და საზიზღარ საგნად ჩასთვალეს შრომა. საბერძნეთის გამოჩენილ მწერლებმა და პოეტებმა, განსაკუთრებით ათინაში, მიაქციეს განსაკუთრებითი ყურადღება ამ ბოროტ-მოქმედებას და მიიღეს თავის თავზედ დამონებულების, მაგრამ მშრომელი ხალხის მფარველობა; მხურვალედ შეუდგნენ დაეცვათ წმინდა, კეთილ-შობილური და გონიერი მოქმედება—შრომა. დიდებულთა ნებიერობა, მათი შემძლეობა, სიმდიდრე, მათი მარტო თავის მოყვარეობა (ეგოიზმი) შეიქმნენ გავარჯიშებულ საბერძნეთის მწერალთა და პოეტთა თხზულებაების სათაურებად. „ბედნიერი წარმატება მოიპოვების მხოლოდ შრომით“, ამბობს სოფოკლი. „დიდების მოსაპოებლად მხოლოდ ერთი გზაა—შრომა.“ „შრომა დიდების მამაა“ (ევრიპიდი). სასყი-

—

*) „დროება“ № 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა ლონე და სხვა გზა საქმის მსვლელობისათვის. და თუ ხიზნები იმდონი არიან, რომ ერთს კარგა მოზდილს წყობას შეადგენენ, მაშინ მათი საქმე საზოგადო, საქვეყნო საქმეა და მარტო საქვეყნო ინტერესის მიხედვით უნდა გადაწყდეს. და თუ აქ აუცილებლად საჭირო იქნება, რომ უმცირესმა უმრავლესს დაუთმოს რამ, მაშინ მაგ დათმობას რეგულიერი და ღირსეული საბუთი ექმნება.

ყოველ უამისოდ, რაც ზევით მოვიხსენიეთ. ხიზნის საქმის შეუძლებელია ჯეროვანი გზა შეურჩიონ, რიგიანი წამალი დასდონ და თუ მაინც და მაინც მოუმზადებელად ხელი ჩაჰკიდეს ამ არა-სხუმარს საქმეს, იქნება იმისთანა ამბავიც მოხდეს, რომ შეღავათის ნაცვლად, ხიზანს უფრო გავუჭიროთ ისეც გაჭირებული ცხოვრება. ჰსჯობს ცოტა გვიან იყოს და კარგად, ვიდრე ჩქარა და ცუდად. „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი ჰსჯობს სიჩქარესა ქებულსაო,“ ნათქვამია.

შემდეგ ამ საგანზედ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ. ჯერ ხანად ის გვინდოდა, რომ საქმე სათავეშივე არ გაფუჭებულიყო და ამიტომაც ვუჩვენეთ საქმე საიდამ უნდა დაწყობილიყო და როგორ უნდა მომზადებულიყო.

## ახალი ამბები

—

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ „ტფილისის განცხადებიდამ“ მოყვანილი ამბავი, პუკის ხიდზე, მირზოევის შენობაში რომ ცეცხლი გაჩნდა, აბოვიანცის მაღაზიიდამ კი არა, ფოტოგრაფის ტერ-ზევონდიანცის მაღაზიიდამ დაიწყოვო. გუშინ თვითონ ტერ-ზევონდიანცი იყო ჩვენს რედაქციაში და დაგვარწმუნა, რომ იმის მაღაზიას ცეცხლი სრულიად არ შეხებია, პოლიციას ან გამომძიებელს ის არა თუ არ დაუტუსაღებია, არც კი რამე ჩვენება ჩამოურთმევია ამ ცეცხლის თაობაზედ.

* * *

გუშინ, კვირას, შუადღეზე აქაურ მუსულმან-სუნიტებმა (სპარსელებმა) აკურთხეს ორივე სქესის ყმაწვილებისათვის გახსნილი შკოლა, რომელიც 19 თებერვლის სახსოვრად დაარსეს საზოგადო ხარჯით.

* * *

ხაშურის რკინის გზის სტანციიდამ გვწერენ, რკინის გზის გამგეობამ გარდაწყვიტაო, რომ ამ გზაზე მოსამსახურე კონდუქტორებს ჯამაგირი უნდა შეუმოკლონო. გაუგიათ თუ არა კონდუქტორებს ეს ამბავი, იმ წამსვე შეკრებილან ზემოხსენებულს სტანციაზე, მოულაპარაკნიათ თავიათ გაჭირებულ მდგომარეობაზედ და თავის მხრით გარდაუწყვეტიათ, ამოირჩიონ ერთი ან რამდენიმე პირი თავის შორის და იშუამდგომლონ რკინის გზის მთავრობის წინაშე, რომ ამ სიძვირეში; როდესაც ჯამაგირის მომატებას მოელოდნენ, შემცირება მაინც არ იკადრონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქმნებიან, რომ ყველამ მიატოვოს თავის სამსახური.

ერთი კონდუქტორთაგანი გვწერს ამ ამბავს და ამიტომ გვჯერა. მით უფრო გასაკვირველია ჩვენის რკინის გზის გამგეობის საქციელი, რომელიც კარგათ ჰხედავს, უეჭველია, იმ გაჭირებას, რომელიც ყველამ იმის გზაზე მოსამსახურე ხალხს მიადგა ამ საშინელ ზამთარში და ამ არა-ჩვეულებრივ სიძვირის გამო. ყველა მოსამსახურე პირების ჯამაგირის მომატება ახლა საჭირო და არა დაკლება...

* * *

გაზეთი „კავკაზი“ შემდეგ ახალ ამბებს გვაცნობებს:

კავკასიის მთავარმმართებლის მოადგილეს მისს ბრწყინვალებას თ. ლ. მელიქოვს დაუმტკიცებია ორი წესდება: ერთი სიღნაღის საქალაქო შკოლის ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისა და მეორეც გორის სამაზრო დამზოგველ ამხანაგობისა.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, თუ როგორ შევიწროებული არიან კასპის, ქალის, სამთავისის, იგოეთის და სხვა ახლო-მახლო სოფლების ხალხი იმ ჩაფრებისაგან და ახალის ტაქსიისაგან, რომელიც თთ. ამილახვრებმა დაადგინეს თავიანთ ტყის დასაცველად. გაზეთი „ობზორი“ გვაცნობებს ახლა, რომ შევიწროებულ გლეხებს და ზოგიერთ აზნაურებს უჩივლიათ თთ. ამილახვრებზე გორის უეზდის მომრიგებელ მოსამართლესთან და ამ საქმის გარჩევა ამ მარტის 17 არის დანიშნულიო.

თუმცა ამილახვრიანი ძალიან ცდილობენ თურმე, რომ თავის მომხრე მოწმეები იშოვნონ გლეხებშივე, მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მომრიგებელი მოსამართლე კარგათ გამოიკვლევს ამ საქმეს და ისეთს განაჩენს დაადგენს, რომელიც სამართლიანიც იქმნება და ამ ლეხურის ხეობის ხალხის კანონიერ მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს...

* * *

ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ხმა, ვითომც ადრინდელი რედაქტორი გაზ. „ტფილისის მოამბისა“ თ. კ. ა. ბებუთოვი გრაფ ლორის მელიქოვთან ოსობი პორუჩენიის ჩინოვნიკად დაინიშნაო. მაშინვე გამოვაცხადეთ ჩვენ ეჭვი ამ ხმის თაობაზედ. დღეს ჩვენ მივიღეთ პეტერბურღიდამ თვითონ თ. ბებუთოვისაგან ტელეგრამმა, რომლითაც გვაცნობებს, რომ ეს ხმა უსაფუძვლო ხმა არისო.

* * *

გუშინ, კვირა საღამოს, ჩვენმა ქართულმა ტრუპპამ გორში გამართა წარმოდგენა; წარმოადგინეს იგივე „ძუნწი“ და „ადვოკატი მელაძე“, რომელიც გავლილ პარასკევს ითამაშეს აქაურს თეატრში. ამბობენ, ძალიან კარგი წარმოდგენა იყოვო, ხალხით გაივსო როტონდა და ყველანი ისე კმაყოფილნი დარჩნენო, რომ მუდამ კვირას სთხოვეს წარმოდგენების გამართვაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**საჩხერე, 4 მარტს.** თითქმის ყოველი მხრიდგან უჩივიან წლევანდელ ცუდ ზამთარს და ამ საჩივრებს, რასაკვირველია, ჩვენც შეგვიძლიან ბანი უთხრათ, რადგანაც უმეტესად თუ არა, ნაკლებ მაინც ალარც ჩვენ, საჩხერლები, ვართ შეწუხებულნი საძაგელის ამინდებით.

ვინც ფოჩტის ან რკინის გზების ახლოს არის, ის იმით მაინც ინუგეშებს თავს, რომ ყოველ დღე მოსდის სხვა და სხვა ცნობები ქალაქებიდგან ჟურნალ-გაზეთების საშუალებით და თუ ისურვებს, თვითონაც ადვილათ გაისეირნებს ქალაქებისაკენ რკინის გზის შემწეობით. ქალაქში

---

დელი ბედნიერებისა, რომელსაც ჩვენ ღმერთები გვაძლევს—შრომაა (ეპიხარმი)“. მაგრამ ყველაზედ უფრო ამ საგანს ყურადღება მიაქცია არისტოფანმა.

ხოლო რას ვხედავთ ფილოსოფოსების, ამ მინერვის, ე. ი. სიბრძნის განსაკუთრებით საყვარელ მეცნიერების სიტყვებში.

„შეესაბამების განა ხელოსნებს მამულის-შვილის სახელ-წოდება?“ —ჰკითხულობს არისტოტელი, და თვითონვე უპასუხებს: —„არა, რიგიანი კანონ-მდებლობა იმათ არასოდეს ნებას არ მისცემს მამულის-შვილის უფლება იქონიონ. ისინი, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს შრომაში ატარებენ, კარგავენ ამით სათნოებისათვის საჭირო ღირსებებს. ისინი სულით მონანი არიან, და თუ სადმე კიდეც სცხოვრობენ თავისუფლად, მხოლოდ მისთვის, რომ სახელმწიფო იმდენად მდიდარი არ არის, რომ იმათ ნაცვლად მონები იხმაროს და არც იმდენად მძლავრია, რომ იმათი მდგომარეობა მონების მდგომარეობას გაუთანასწოროს.“

ქსენოფონტის სიტყვით, „მეხანიკური ოსტატობა ასნეულებს ადამიანს, ამახინჯებს სხეულს და იმავე დროს დამღუპველი ზედ-მოქმედება აქვს ჭკუაზედ. ამისთვის ძლიერ გონივრული განკარგულება იქნება, რომ ხელოსნები რაიმე საზოგადო საქმისთვის არ ამოირჩიონ და არც სახელმწიფო თანამდებობა მიანიჭონ“.

„ბუნებას მისთვის კი არ გაუჩენივართ ჩვენ, რომ ხარაზებათ გავხდეთო, გაკვირვებით იტყვის პლატონი, ამ ნაირი ხელობა ამცირებს იმათ, ვინც იმას აიღებს; იმათ არ უნდა მიეცეს არა ვითარი პოლიტიკური უფლება“.

მაგრამ ჩვენ დრომიაც ბევრნი მოიპოვებიან ნასწავლთა შორის ისეთნი, რომელთა შეხედულება ამ საგანზედ დიდით არ განსხვავდება გამოჩენილ საბერძნეთის მეცნიერ, ფილოსოფოსებთა შეხედულებიდან. აი მაგალითებრ, რასა სწერს ალიური:

„სიღარიბის მოსპობა ახალი ცივილიზაციის ფილოსოფიური ქვაა. თვით ღვთის განგებითაა დედა-მიწაზედ სიღარიბე და უნდა დარჩეს იგი საუკუნოდ, რომ კაცმა საუკუნო თანაგრძნობის და სიბრალულის აღმოჩენის მიზეზი იშოვნოს თავის ძმის-კაცისადმი“.

ანუ შესანიშნავი მჭევრ-მეტყველი ტიერი განა დიდად დაშორდა ზემოხსენებულს ფილოსოფოსებს, როდესაც ამბობს:

„სიღარიბის გვერდით, რომელიც კაცობრიობის თან-შობილი მოვლინებაა — მოთავსდა კეთილის-მყოფელობა უსასურველესი ყოველთა სათნოებათა, რითაც კი ღმერთმა კაცობრიობა დააჯილდოვა“.

რასაკვირველია, საბერძნეთის რესპუბლიკაში, როგორათაც აზიის მამათმთავრულ თვით ხელმწიფობაში მათხოვრობა თავზარს ვერ დასცემდა მონებს; მათხოვრობა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, იყო რაღაც ხელოსნობის მსგავსი და განსაკუთრებულ შეურაცხყოფად არა სთვლიდენ. ამ უბინადრო თავის მიწის (მკვდრის) ანუ უცხოეთლების გუნდთა მეზობლად, ათინაშიაც, მართალია, შეხვდებით მრავალ ღარიბებს, რომელნიც განადგურებულან ან ჩხუბების გამო, ან ვაჭრობაში დაზიანების გამო, ან ისეთებს, რომლებსაც ფიზიკურ ნაკლულევანებათა გამო ლუკმა-პურის შოვნა უძნელდებათ.

„თავ-და-პირველად რესპუბლიკის დასაწყისში ამბობს ბეკი („პოლიტიკური ეკონომია ათინელთა“),—ათინელებს შეეძლოთ დაეკვეხნათ, რომ არც ერთი ათინის მამულის-შვილი შევიწროებული არ არის და არც მათხოვრობას იკადრებს; მაგრამ პელოპონესის ომიანობის შემდეგ ყოველ მხრივ გაჩნდა სიღარიბე, და მასთან საზოგადოების მხრით შემწეობის აღმოჩენა ღარიბთადმი. შემწეობის მიღების ნება კანონ-მდებლობით ჰქონდათ მინიჭებული მხოლოდ იმათ, ვისაც ქონება 69 მანეთზედ ნაკლებ დაფასდებოდა. ესხინის სიტყვით, ღარიბთა შემწეობა გამოზომილი იყო; თითოეული იმათგანი იღებდა დღეში $11\frac{1}{2}$ კაპეიკამდის; არისტოტელის სიტყვით, ღარიბებს საზოგადოებისაგან შემწეობა ქონდა 2 მანეთი და 7 კაპეიკი თვეში. მაგრამ საშვალო რიცხვი რომ ავიღოთ, საზოგადოების მოწყალება $3\frac{3}{4}$ კაპეიკის მეტი არ გამოდის დღეში.“

არისტოტელისავე გამოანგარიშებით მაშინდელ სახლობას, რომელიც შესდგებოდა ოთხი მოწიფული ვაჟკაცებისაგან, არ შეეძლო 100—125 მანეთზედ ნაკლები დაეხარჯა ერთის წლის განმავალობაში; ეს ხარჯიც ძლივღა ასაზრდოებდა ოჯახს ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა.

მცხოვრებლებს ჩვენთან შედარებით ადამის სამოთხე უკავიათ.

სიძვირეს ჩვენ გაჭირვებათ არც კი ვაგდებთ. გამოილია ჩვენ დუქნებში სანთელი, შაქარი, ჩაი და სხვა,— დაბრძანდი და უყურე, სანამდის გზებზედ თოვლი აილებოდეს და ცხენი გაივლიდეს; გამოგელიათ შემოდგომაზედ ნაყიდი შეშა, უყურე გაზაფხულის მოსვლას; გაძვირეს პური ან სულ აღარ გაყიდეს, მოკვდი შიმშილით. ხორცზე აღარაფერს ვიტყვი, რადგანაც მისი ჩვენ სულიც არ გვეცემა, თუ ჭირი არ დაერია პირუტყვებს. ამ უკანასკნელს შემთხვევაში კი, მოგვეცათ ღვთის წყალობა, აქ საკლაობა იყოს ხოლმე! „ერთი ჭირი მარგებელიაო“—აბა ჩვენთვის ეს ყოფილა.

როგორც ჰხედავთ, ჩვენი სიცოცხლე ბეწვზედ არის ნამეტურ ამისთანა ამინდებში დაკიდებული, გაზეთები, რომლებიც თვეში ერთხელ და ხან ორჯელ მოგვდის ხოლმე, გვატყობინებენ, რომ ტფილისის და სხვა მახლობელ გუბერნიების სოფლებში და ქალაქებში შიმშილი არისო, გირვანქა პური ორ შაურათ იყიდებაო. ეს მაზანდა რომ შევადარე აქაურს, ვსთქვი: შიმშილი აქ ყოფილა და ჩვენ კი ვერ შეგვიმჩნევია-მეთქი; ორ შაურათ რომ აქ კარგ გამომცხვარ პურს ვიშოვნიდეთ, ჩვენზე ბედნიერი ვინღა იქნება. აქაურ გამომცხვარ პურს, რაც უნდა მშიერი იყოს, ქალაქელი კაცი არ შეჭამს და გირვანქას, რომ ავწონე, სწორედ ცამეტი კაპეიკი მოუვიდა; მასთან დამწვარი, დანახშირებული ყუები და აბუდგული ქერქები რომ გამოვრიცხოთ, სამ შაურზე მეტი მოუვა.

ხორბალი კი აქ შვიდ-რვა აბაზათ იყიდება ფუთი. ერთი ვილაც, მუხრანსკის პოდრიადჩიკი ვარო, ჩამოსულა; ყიდულობს პურს, სიმინდს, ლობიოს და სხვა და გზავნის ტფილისისაკენ. ამ დალოცვილმა ჩაიდგა ნამეტურ ურიების ცოდვა მუცელში —კვერცხები უიმისოთაც ძვირი, სულ გაგვიწყო და პურისაც ისე არ გვიქნას.

ჰველა რალაც იმისთანა იმედით მოველოდით ყველიერის პარასკევის იარმუკას, (საჩხერეში იციან წელიწადში ორი იარმუკა: ყველიერის პარასკევს და დიდ პარასკევს) ვითომც და იმას გაზაფხულის და კარგი ამინდები მოჰყვებაო. იმედი გვქონდა, ეგებ მაშინ მაინც შამოგვიტანოს რამე ხალხმაო. მაგრა გათენდა პარასკევიც და უფასოთ მოგვართვა საძაგელი ამინდი—ძირს საშინელი ტალახი და ზეიდამ თოვლ-ჭყაპი.

ხალხი თუმც ბევრი არ შამოსულა, მაგრამ ჩვენი მხოლოდ-შობილი ქუჩა კი სრულიად გაიტენა; უმეტესი ნაწილი თვალის გასახელად იყო მოსული,—დღეს იარმუკობა არისო და თვალს გადავაყოლებო.“ არ ვიცით რაზე უნდა გადაეყოლებინათ თვალი?! სოფლებიდგან შემოტანილს გასასყიდელს ნახავდით: ორიოდე ხის ნიჩაბს, გობს, თოხს, ცულს, წალდს, დანას და ყველს.

მიდის საჩხერელი ვაჭარი და ეკითხება სოფლელს: „რა გაქვს გასასყიდელი!„—კარგი თოხები, ბატონო. „ეჰ, ორიოდე კვერცხი შამოგეტანა, შვილო, იმას უფრო დაგიმადლებდით, თითო შაურს მოგცემდით თითოში, თორემ თოხები რათ მინდა, შე დალოცვილო! მიწა ღმერთმა აღარ დაგვანახა და...“

მართლაც, სხვიმის კვერცხი მაინც იყო იეფი აქ და ახლა დარბიან, თითოში თითო შაურს სიხარულით იძლევიან და ისიც ვერსად უშოვნიათ. აქაური პარასკეობის შესანიშნავი სავაჭრო არის ყოველთვის აჭრელებული ფიცრის სკივრები, რომლებიც ახლაც სწორედ ისე კეთდება, როგორც ამ ასის წლის წინად კეთდებოდა ჩვენ მამა-პაპის დროს. ამ სკივრებს ხმარობენ მზითვში გასატანად გასათხოვარ ქალებისათვის, ხილეულის, ფქვილის და საზოგადოთ მარცვლეულობისათვის.

მალე გათავდა ჩვენი იარმუკა. საღამოს ორ კაცსაც ვეღარ დაინახავდით ქუჩაში. ვეგონა, შეშას მაინც შამოგვიტანდნენ და ერთი ხელს მოვითბობდით, მაგრამ ამაშიაც მოვსტყუვდით; ორი თუ სამი კაცის ზურგი შამოვიდა და შამოსვლისგან უმალ დაიტაცეს ზურგი ცხრა-ათ შაურათ, ვისაც გინდათ ახლა აქაური კაცის პატივისცემა, დაპატიჟეთ და ერთი კარგათ ცეცხლზედ გაათბეთ სხვაზე არაფერზედ დაგემდურებათ და თქვენისთანა მასპინძელი მისთვის არავინ იქნება.

სწორეთ უნდა მოგახსენოთ, ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაგდო ამ საძაგელმა ზამთარმა აქაური ხალხი.

ამ დალოცვილმა პარასკევის იარმუკამ სწორეთ ცეცხლის დამწვარზე მდუღარე დაგვასხა—დაიწყო მას უკან საშინელი ქარი, თოვლი და აგვიკლოეს არის. ერთ მახლობელ სოფელში წაკიდებია ერთ მოსახლეს ცეცხლი და სულ გადაუწვავს, რაც კი რამ გააჩნდა. ეს რომ აქ გაიგეს, ბევრი იძახდა: „ნეტავი იმას, ერთი კარგათ მაინც გათბებოდაო.“

საჩხერელი.

## სამართალი

### ყალბი ბილეთების საქმე

სასამართლოს განაჩენი.

დღეს, ორშაბათს, 17 მარტს, ნასადილევის მეხუთე საათზე სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი ყალბი ბილეთების გამკეთებლებისა და გამავრცელებლების შესახებ:

პრაპორსჩიკს ნ. ი. ჯანიბეგოვს, არუთინ ხეჩატუროვს, გეურქ ჯაგარბეგოვს, ქრისტ. არცატპატიანცს, გალუსტა ჩუგაევს, მათეოზ ამირხანოვს, ალაჯან ბადალოვს და ვასილ არუთინოვს—ჩამოერთვას ყოველი ღირსება, გაიგზავნოს 10 წლის ვადით კატორღაში და შემდეგ დასახლდნენ სამუდამოთ ციმბირში.

კოსტ. ვართანოვს ჩამოერთვას ყოველი ღირსება, გაიგზავნოს კატორღაში 20 წლით და შემდეგ სამუდამოთ ციმბირში.

ივ. მურადოვი—გაიგზავნოს ციმბირში დასასახლებლად.

გ. დიდაროვს—ჩამოერთვას ყოველივე ღირსება, გაიგზავნოს 6 წლით კატორღაში და შემდეგ იქ დასახლდეს.

ოვაქიმ ბადალიანცს (სომხის ბერი და ოღანეზ ასლანოვს—ჩამოერთვას ყოველი ღირსება და 6 წლით გაიგზავნოს კატორღაში, შემდეგ ციმბირში დასახლდეს;

გიორგი მირიანოვი და ზაქარია ნასკიდოვი—გასაწვრთნელ როტებში 1 წლის ვადით;

ისაი ბადალიანც—გასაწვრთნელ როტებში 3 წლის ვადით.

გეორქ გამბაროვს—8 წლით კარტორღა და შემდეგ დასახლება ციმბირში.

---

რომ შიმშილით სული არ ხდებოდათ. ეხლა წარმოიდგინეთ, რა ნამდვილი შემწეობის აღმოჩენა შეეძლო ამ ნაირს გარემოებაში მყოფთათვის $3^3/_4$ კაპეიკიდან $7^1/_2$ კაპეიკამდინ დღეში სამოწყალოს?

აი ნამდვილი სიღარიბე, აი ნამდვილი მსხვერპლი ვეშაპის—სილატაკისა, რომელიც ვიკტორ ჰუგოს სახელოვანი სპრუტის არ იყოს, თავისი ასეული ხელებით კუმშავდა და თავის საზარელ მკერდზედ იხუტებდა კაცობრიობის დიდ-ძალ ნაწილს.

საზოგადოების დასაწყისში რასაკვირველია, დაშორებით ადვილი იყო სიღარიბის თავიდამ მოშორება, ვინემ ეხლა. მაშინ ძლიერ ადვილად შეგეძლოთ წინააღმდეგი ინტერესების ერთი მეორესთან შეთანხმება; მაშინ მდიდარს არ შეეძლო ეთქვა: სიღარიბე თან-შობილი მოვლინებაა კაცობრიობის ბუნებაში დანერგულიო. მაშინდელი მდიდრები სხვა თვალით უყურებდნენ თავიანთ სიმდიდრის წყაროს.

— მე უძლიერესი ვარ, ამბობს მხედარი, ამისათვის მე უფლება მაქვს სიმდიდრის, კეთილ-მდგომარეობის, მოქმედების. შენ, რომელიც მე დაგიმორჩილე, მეზიზღები, და თუ სიცოცხლეს გაძლევ,—ეს ჩემი მოწყალებაა შენზედ, რომლისათვისაც მუხლმოდრეკით მადლობა უნდა შამომწირო; ისეც იმ პირობით გაძლევ შენ სიცოცხლეს, რომ მარჩინო, ჩამაცვდამახურო და მომცე საშვალება ყოველივე უნაკლულოდ მქონდეს, ყოველივე, რაც კი დამჭირდება ცხოვრებაში. შენ ამბობ: „ღარიბი ვარ, ბატონო, სული არ მიდგია, მშია, ვიტანჯები“. ეს ხო უშენოთაც ვიცი, რომ ეგრეა, მაგრამ მე რას დავსდევ მაგაებს? შენ რომ ჩემზედ მძლავრი ყოფილიყავ, ჩემი ადგილი შენ გეჭირებოდა, შენი—მე. და ეს სრულიად სამართლიანობაა, ვინაიდან სიმართლე ძლიერებაში მდგომარეობს. ჩვენ (მხედრებს) ძალადობითი უფლებით გვეკუთვნის მიწა; მაგრამ შენ გჭირია იგი, რომ იმით ასაზრდოვო გაძალლებული თავი. კარგი, ნებას გაძლევთ იმუშაო ჩვენს მიწაზედ და მიიღო ჭირნახულიდან მეათედი ნაწილი, დანარჩენი ცხრა ნაწილი კი ჩვენ ჩაგვაბარე.

ამ ნაირად სიღარიბე იყო ძალადობითი უფლების შედეგი. დამპყრობელნი ბატონებად გახდნენ; და რადგანაც მსხვერპლებმა თავიანთი უფროსების, დამჩაგვრელების წინაშე თავი ჩაღუნეს, ამის გამო საკუთრების ქონებლობის ჰაზრთან მჭიდროდ შეკავშირდა პატივის-ცემის ჰაზრი, ე. ი. საკუთრების მქონე იმავე დროს მოსარიდებელი; პატივსაცემი ვინმე იყო.

საკუთრებას მოკლებული აბორიგენი (მკვიდრი მოსახლე), თუ როდისმე გაბედვიდა ჩამოეგდო ლაპარაკი, გაეხსენებინა თავის მებატონისათვის; რომ მასაც აქვს უფლება მიწაზედ, ამაყი დამპყრობელი ჩვეულებრივის მხრების დამანჭვით მიუგებდა ხოლმე:

— გაშოლტეთ მაგ საძაგელი, რომ ზოლ-ზოლად ტანზედ ტყავი აძვრეს, გაიგოს ერთი მაშინ: ჩვენი თანასწორია, თუ არა!

„ისტორია არც ერთ საგნის შესახებ არ წარმოგვიდგენს ისეთ ნაღვლიან ერთ-ფეროვნებას, როგორც სიღარიბის შესახებ, სწერს კარნე. უგუგეშო ცრემლების ღვრა სიყმაწვილეში, სამუშაოს ნაკლებობა, მოწიფულობაში, სისხლის დაშრობა სიბერეში,—აი სურათი ღარიბის ცხოვრებიდამ. სამწუხარო სურათი, რომლებიც განმეორდებიან ხოლმე ყოველს საუკუნეში და ყოველს ხალხში. შიმშილის სიმწარეს და ფიზიკურ ტანჯვას ერთნაირ ნაღვლიან გულით გამოთქმენ, როგორც მაღალ ხარისხზედ მდგომნი, განათლებულ ტომისანი, ისრე პირველ წერტილზედ მდგომნი, ყმაწვილისაებრ წრფელი გულისანი“.

და ბოლოს მოვესწარით იმ დროსაც, როდესაც ხალხმა გაიგო, რომ სილატაკე არ არის ხელ-შეუვალი, თან-შობილი და ამისათვის აუცილებელი ბოროტება კაცობრიობის ცხოვრებაში, რომ უსვინიდისობაა უმრავლესობის დასჯა შიმშილით და წვალებით; რომ სილატაკე არის პირ-დაპირი ნამცვილი შედეგი დაბალი თავმოყვარეობის, თავხედობის და წინდაუხედავი გულის-თქმის, რომ ის არის ნამდვილი ბარბაროსი, ველური კაცი, ამ სიტყვების საზარელ მნიშვნელობით, რომელიც განიზრახავს უთხრას თავის ძმას:

— ჩამომეცალე! ეს მზის სხივი მეკუთვნის მე!

ვ.

ოდესსა, 3 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაველ აჯამამუდოვს—კატორღა 4 წლით და შემდეგ სამუდამო დასახლება ციმბირში.

თ. ლუკა ანდრონიკოვს—ყოველი ღირსების ჩამოხდა და 2 თვით საპყრობილეში;

სტეფ. ტატოსიანც, ზასპარ ბაბალოვი, იაგორ ქალამქაროვი, მიხ. ბიულჯანოვი, კოსტ. ბალჩისარაიცევი, გრ. ტერ-სარქისოვი, სერგეი ლაზარევი, ეკატ. პაპოვისა, არტ. აჯიმამუდოვი, ნინიკა ცისკარაშვილი, იაკობ დურგალოვი, ქსენოფონტე კანონიჩი, პეტრე ქარაევი, ალექსი კეინიკაძე, და იოანე ბექანოვი სრულებით გამართლებულნი არიან.

დიდაროვის შესახებ სასამართლო შუამდგომლობს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ 6 წლის მაგიერ 4 წლით გაიგზავნოს არესტანტის როტაში, იოაქიმ აჯიმამუდოვი 2 წლით.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდის.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცინი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზნარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი—სირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი—ბუშიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცინი და რუდგოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, ზომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზნარიანცი—ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი—სირურგიულის, ლისიცინი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბუშიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის, ბაბოვი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდის სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე-კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდის სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# განცხადებანი


**იყიდება არწრუნის ქარვასლაში ინგლისის მაღაზიაში:** პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასალებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-დაპირ კიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—3)

**პირუტყვთა დამცველი თფილისის საზოგადოება** მოწვეულნი არიან საზოგადოების ჩვეულებრივ სხდომაზედ 20 მარტს საღამოს 7½ საათზე სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ბაღში.

ამასთანავე საზოგადოების წევრთა სთხოვენ, რომ საწევრო ხვედრი ფული წარუდგინონ საზოგადოების ხაზინადარს კასუმოვს, კანტორაში, ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(3—3

**საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა** აცხადებს, რომ ის უნიშნავს **ოთხს ჯილდოს** იმათ, ვინც კი შემდეგს სახელმძღვანელოებს შეადგენს სასოფლო შკოლებში სახმარებლათ.

1. **ას თორმეტ-და-ათ მანეთს** ელემენტარული არითმეტიკის შემადგენელს.

2. **სამას** მანეთს პირველ-დაწყებითი გეოგრაფიის კურსის შემადგენელს.

3. **სამას** მანეთს საქართველოს ისტორიიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

და 4. **ორას** მანეთს ბუნების მეტყველებიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

შემადგენელები არ უნდა დაბრკოლდნენ ამ სახელმძღვანელოებში სახმარებელის სურათების შესახებ, რადგან მმართველობა თითონ იკისრებს ამ სურათების დაბეჭდვას.

ჯილდოს მიღება ვისაცა სურს, თავისი სახელმძღვანელო უნდა წარმოადგინოს 1 თებერვლამდე 1881 წ. თითონ სახელმძღვანელო უნდა იყოს ერთს პაკეთში და ზედ დევიზი ანუ პსევდონიმი ეწეროს რამე. მეორე პაკეთში იქნება სახელი და გვარი შემადგენელისა და იგივე დევიზი ანუ პრევდონიმი. ჯილდო მიეცემა იმ ავტორს, რომლის თხზულება სხვებზედ უკეთესი აღმოჩნდება.

(9—9)

**გრ. ჩარკვიანის**

ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

**„მოდი და ენდე ქალსა!"**
ვოდევილი ერთ მოქმედებად
მ. ჯორჯაძისა
თფილ. 1880 წელს. ფასი 20 კაპ.

**„ქვრივის ლიმონები"**
მოთხრ. გრ. რჩეულოვისა
გამოც. დავ. ბერიძისაგან
თფილ.. 1880 წელს. ფასი 10 კაპ.

**„სარიდონიანი"**
პოემა, გამოც. ქ. ჩარექოვისაგან
თფილ. ფასი 30 კაპ.

იბეჭდება და ამ დღეებ გამოვა:ში
საქართველოს მეფე
**„ბაგრატ მეოთხე"**
თხზ. დიმ. ბაქრაძისა

**„სისხლის ძიება"**
პოემა ჩერქეზების ცხოვრებიდან
ალ. დეკანოზოვისა

**სავაჭრო სახლი**

# იაგორ კასუმოვი და ამხ

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც **1 და 2 შინაგანი სესხის ბილეთების** ყიდვა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ამხანაგობის მთავარ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები კარგის პირობებით ისყიდება. მსყიდველს შეუძლიან ნაწილ-ნაწილად დრო-გამოშვებით შემოიტანოს კანტორაში ფული დაწვრილებით პირობების შეტყობა თვითონ კანტორაში შეიძლება.

(10—5)

**„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა"** სთხოვს იმ პირთა, რომელთაც უნდათ საზოგადოების წევრათ შემოსვლა, გამოგზავნონ საზოგადოების კანცელიარიაში წევრათ შემოსვლის სურვილის განცხადება და მასთან ერთად საწევრო ფული 6 მანეთი. მაისის საზოგადოების საერთო ყრილობამდინ ისენი იქნებიან საზოგადოების კანდიდატებათ ჩარიცხულნი.

კანცელარიის ადრესი არის: **Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. На Давидовской улицѣ, № 20.**

(6—5)

# დროება-ივერია

ამ 1880 წლიდამ შეერთებულის რედაქციით გამოდის.

გაზეთი **„დროება"** გამოვა მუდამ დღე, ორშაბათსა და უქმეების შემდეგ დღეებს გარდა, საშუალის თაბახით. გაზეთში იბეჭდება ტელეგრამმები (პირველ დღესვე) და სახაზინო განცხადებანი (ინტენდანტსტვოსი, პრიკაზისა და სხვ.)

ჟურნალი **„ივერია"** გამოდის სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

**ხელის-მოწერა** მიიღება მხოლოთ რედაქციაში: ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба"-„Иверіи"*.

| | წელიწ. | 6 თვე | 3 თვე. |
|---|---|---|---|
| **ფასი** „დროება" და „ივერია" ერთად | 13 მ. | 7 მ. | 4 მ. |
| ცალკე: „დროება" | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| ცალკე: „ივერია" | 6 „ | 4 „ | 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა" —5 კაპ.
ცალკე ნომერი „ივერიისა" —2 მან.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფასი ჟურნალ-გაზეთისა ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

**გრ. ჩარკვიანის**

ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება

# ქართული კალენდარი 1880

ფასი ორი შაური


Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Марта 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი